ეთიკის კომისიის
ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.07.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 020/14

შეკითხვა:

ადვოკატი შესაბამის საგადასახადო ორგანოებში დარეგისტრირებულია, როგორც გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი. იგი არ არის რომელიმე საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი, თუმცა, ლიცენზია მინიჭებული აქვს საერთო სპეციალიზაციით და ეწევა პროფესიულ საქმიანობას. აქვს თუ არა აღნიშნულ ადვოკატს ორდერის გამოწერის უფლება?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 19-ე მუხლის მე-2 პუნქტი: „გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი 19-ე მუხლით განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს. ნორმის მიხედვით, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე (პუნქტი 1). ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, „გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას“ ადვოკატმა უნდა წარადგინოს მასზე გაცემული მინდობილობა ან ორდერი.

კანონის აღნიშნული მუხლი არ მიუთითებს, რომ მხოლოდ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატს შეუძლია ორდერის გამოწერა. რეგულაციის მიხედვით, ორდერის ან მინდობილობის წარდგენის ვალდებულება აქვს ზოგადად ადვოკატს. საადვოკატო პრაქტიკულ საქმიანობაში ფიქსირდება ადვოკატების, როგორც გადასახადის გადამხდელი ფიზიკურ პირების მიერ ორდერის გამოწერის შემთხვევები. ადვოკატმა, ორდერის გამოწერისას, უნდა მიუთითოს, რომ საქმიანობას ეწევა როგორც ფიზიკური პირი, ასევე, მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები და სიითი ნომერი.

დასკვნა:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადვოკატს, როგორც გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირს, აქვს ორდერის გამოწერის უფლება, ვინაიდან რეგულაციის მიხედვით, ორდერის ან მინდობილობის წარდგენის ვალდებულება აქვს ზოგადად ადვოკატს.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.